

ხაშურის წყალმომარაგებისა და წყალარინების პროექტი - ლოტი 1

UWSCG-IPC-CW-Lot 1: ხაშურის წყალმომარაგებისა და წყალარინების სისტემების განახლება

წინასატენდერო შეხვედრისას გაუღერებელი დამაზუსტებელი კითხვები

2022 წლის 10 მაისი

შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია“ (შემდგომში „წყალმომარაგების კომპანია“) მიიღო დაფინანსება Agence Francaise de Developpement („AFD“) და ევროპული კავშირისაგან („EU“) და გეგმას მიღებული დაფინანსების ნაწილი გამოიყენოს შემდეგი პროექტის ფარგლებში: **UWSCG-IPC-CW-Lot1: ხაშურში წყალმომარაგებისა და წყალარინების სისტემების განახლება.**

პრეკვალიფიკაციის პროცესი დასრულდა და მოკლე სია შედგენილია. 2022 წლის 29 მარტს პრეტენდენტებს დაეგზავნა მოწვევები სატენდერო წინადადებების შემოტანისათვის.

26 აპრილს, 15:00 საათზე თბილისის დროით გაიმართა წინასატენდერო შეხვედრა. პრეტენდენტები არ ესწრებოდნენ შეხვედრას, თუმცა, ორმა მათგანმა წარმოადგინა კითხვები ელ. ფოსტით.

ქვემოთ ცხრილში მოცემულია კრიტერიუმები, კითხვები და წყალმომარაგების კომპანიის პასუხები:

№	კრიტერიუმები	კითხვა	წყალმომარაგების კომპანიის პასუხი
1	სექცია I, ინსტრუქცია პრეტენდენტებისათვის ა. ზოგადი 17 დოკუმენტაციები, რომლებიც ადგენს პრეტენდენტების კვალიფიკაციას 17.1 III სექციის, შეფასებისა და კვალიფიკაციის კრიტერიუმების მიხედვით, იმისათვის, რომ დადგინდეს, რომ პრეტენდენტი კვლავ აკმაყოფილებს პრეკვალიფიკაციის დროს	გთხოვთ, განმარტოთ, უნდა წარმოვადგინოთ პრეკვალიფიკაციის დოკუმენტები სატენდერო დოკუმენტებში. მაშინაც კი თუ უცვლელია ბოლო ჩაბარების შემდეგაც?	მუხლის მიხედვით, განახლებული ფორმებია საჭირო, თუ ინფორმაცია შეიცვალა პრეკვალიფიკაციის დროს წარმოდგენის შემდეგ.

	<p>გამოყენებულ კრიტერიუმებს, პრეტენდენტმა IV სექციაში, სატენდერო ფორმებში მოცემულ საინფორმაციო ბლანკებში უნდა წარმოადგინოს განახლებული ინფორმაცია ნებისმიერი შეფასებული ასპექტის შესახებ, რომელიც იმ დროიდან შეიცვალა ან თუ მოქმედეს პოსტკვალიფიკაცია, როგორც მოცემულია პრეტენდენტების ინსტრუქციების 4.5 მუხლში, პრეტენდენტმა უნდა წარმოადგინოს ინფორმაცია, რომელიც მოთხოვნილია IV სექციაში, სატენდერო ფორმების საინფორმაციო ბლანკებში.</p>		
2	<p>სექცია III - შეფასებისა და კვალიფიკაციის კრიტერიუმები 1 შეფასება 1.2 უსაფრთხოების მეთოდოლოგიის მიღება როდესაც უსაფრთხოების რისკები შეფასებულია, როგორც მაღალი, მაშინ სატენდერო დოკუმენტები უნდა შეიცავდეს უსაფრთხოების სპეციფიკაციებს სექციაში IV - საინჟინრო ნაგებობების მოთხოვნები, ტექნიკურ წინადადებაში უნდა იყოს სატენდერო მეთოდოლოგია, სატენდერო მონაცემთა ბლანკის პრეტენდენტების ინსტრუქციების 11.1(ი) მუხლის მიხედვით.</p>	<p>საჭიროა უსაფრთხოების მეთოდოლოგიის წარმოდგენა? თუ კი, მაშინ სადაცაა უსაფრთხოების სპეციფიკაციები სატენდერო დოკუმენტებში?</p>	<p>არ არის უსაფრთხოების მეთოდოლოგია საჭირო, თუ რისკები არ არის შეფასებული, როგორც მაღალი.</p>

	<p>უსაფრთხოების მეთოდოლოგია უნდა შეფასდეს, რათა დადგინდეს, დაკმაყოფილებულია თუ არა უსაფრთხოების სპეციფიკაციებში დაკონკრეტებული დასაშვებობის თითოეული მოთხოვნა.</p>		
3	<p>სატენდერო წინადადების დანართი 1 - კორექტირების მონაცემების გრაფიკი</p> <p>სექცია IX - განსაკუთრებული პირობები</p> <p>ნაწილი A - საკონტრაქტო მონაცემები</p> <p>13.8 ფასებში ცვლილებების კორექტირება</p>	<p>უნდა წარმოვადგინოთ კორექტირების მონაცემების გრაფიკი სატენდერო დოკუმენტებთან ერთად? რატომაა შესაბამისი სატენდერო ფორმა ცარიელი და რატომ აწერია „არაა საჭირო“?</p>	<p>სატენდერო წინადადების დანართი 1 - კორექტირების მონაცემების გრაფიკი ეხება სატენდერო წინადადების კორექტირებას. არ მოქმედებს.</p> <p>სექცია IX - განსაკუთრებული პირობების მოთხოვნები ვერ შეიცვლება.</p>
4	<p>სატენდერო წინადადების დანართი 1 - კორექტირების მონაცემების გრაფიკი</p>	<p>გთავაზობთ, გამოვიყენოთ მხოლოდ ფასთა ინდექსი სამშენებლო მრეწველობის მასალებისათვის, რომელიც გამოქვეყნებულია სახელმწიფო სტატისტიკის დეპარტამენტის მიერ, რომელიც უფრო აქტუალური და სწორია.</p>	<p>მოთხოვნა ვერ შეიცვლება.</p>
5	<p>სატენდერო წინადადების დანართი 2 - ვალუტები</p> <p>პირობითი თანხები ადგილობრივ ვალუტაში: ლარი</p>	<p>პირობით თანხებში რა ციფრი უნდა ჩაიწეროს?</p>	<p>პირობითი თანხები უნდა იყოს ადგილობრივ ვალუტაში სატენდერო წინადადების დანართი 2 - ვალუტების მიხედვით.</p> <p>სექცია II - სატენდერო მონაცემების ბლანკები, პროექტენდენტების ინსტრუქცია 32.1, გაცვლითი კურსის თარიღი უნდა იყოს სატენდერო წინადადების წარმოდგენის ბოლო</p>

			ვადის თარიღამდე შვიდი (7) დღით აღწინდელი თარიღი.
6	ფორმების ცხრილი - გარემოს დაცვა, სოციალური გარემო, ჯანმრთელობა და უსაფრთხოება (ESHS) - ფასთა გრაფიკი	რამე კონკრეტული ESHS ფასთა გრაფიკი უნდა წარმოვადგინოთ?	კონკრეტული ESHS გრაფიკი არ არის საჭირო (იხ. პოზიცია 1005)
7	ფორმების ცხრილი - უსაფრთხოების ხარჯების გრაფიკი	რამე კონკრეტული უსაფრთხოების ხარჯების გრაფიკი უნდა წარმოვადგინოთ?	რადგანაც უსაფრთხოების რისკები არ არის მაღალი, არ არის საჭირო უსაფრთხოების ხარჯები.
8	ფასთა გრაფიკი - უწყისი 1: ზოგადი შენიშვნა 1: პოზიციები, რომლებიც აღნიშნულია შენიშვნა 1-ით, არ იქნება განფასებული ამ უწყისში. პრეტენდენტმა უნდა გაითვალისწინოს ამ პოზიციების ფასები სხვა უწყისებში. თუ აღნიშნულ პოზიციებს პრეტენდენტი განაფასებს ამ უწყისში, ფასი შემცირდება ამ განფასებული პოზიციების ჯამით: 1001 საშუალებები სამშენებლო მოედანზე 1002 მუშა ნახაზებისა და საშემსრულებლო ნახაზების მომზადება 1003 სამშენებლო მოედნის აღჭურვილობა 1004 კანალიზაციის ახალი მილების დაერთება არსებულ ქსელზე 1005 ESHS ღონისძიებები	გთხოვთ, ახსნათ, უნდა წარმოვადგინოთ თუ არა ფასები უწყისში 1: ზოგადი?	ფასების ჩაწერა არ არის საჭირო იმ პოზიციებში, რომლებიც აღნიშნულია „შენიშვნა 1“. ითვლება, რომ 1001, 1002, 1003, 1004 და 1005 პოზიციები გათვალისწინებულია სხვა ფასთა გრაფიკებში.
9	სექცია IX - განსაკუთრებული პირობები ნაწილი A - საკონტრაქტო მონაცემები 14.2 ავანსი: 10%	გთხოვთ, რომ გაზარდოთ ავანსი 30%-მდე. ამ ცვლილებით შემცირდება პრეტენდენტების საბრუნავი კაპიტალის ხარჯები და შედეგად შემცირდება სატენდერო წინადადების ფასი.	მოთხოვნა ვერ შეიცვლება.

10	სექცია IX - განსაკუთრებული პირობები ნაწილი A - საკონტრაქტო მონაცემები 14.3 დაკავების თანხის პროცენტი: 10%	გთხოვთ, რომ შეამციროთ IPC-ებიდან დაკავებული თანხა 5%-მდე. ამ ცვლილებით შემცირდება პრეტენდენტების საბრუნავი კაპიტალის ხარჯები და შედეგად შემცირდება სატენდერო წინადადების ფასი.	მოთხოვნა ვერ შეიცვლება.
11	სექცია 14120 _ წყლის მრიცხველები 5 მრავალჭავლიანი წყლის მრიცხველების მოწყობა	მოთხოვნილია ერთჭავლიანი თუ მრავალჭავლიანი წყლის მრიცხველების მოწყობა?	უნდა მოეწყოს მრავალჭავლიანი წყლის მრიცხველები AMR სისტემით
12	სატენდერო დოკუმენტები, ტომი 1 - სატენდერო პროცედურები სექცია IV – 4.2 ბ მოცულობათა უწყისი	სატენდერო დოკუმენტები, ტომი 1 - სატენდერო პროცედურები, სექცია IV – 4.2 ბ მოცულობათა უწყისი, პოზიციები 2411, 2412 და 2413 ითხოვს წყლის მრიცხველებს, რომლებიც <u>ერთჭავლიანი მრიცხველებია</u> . მეორე მხრივ, სექცია IV – 4.2ა ფასთა აღწერა, იგივე პოზიციები (2411, 2412, 2413) ითხოვს <u>მრავალჭავლიანი მრიცხველების მოწოდებას</u> . რადგანაც ეს ორი ჩანაწერი ეწინააღმდეგება ერთმანეთს, გთხოვთ, განმარტოთ, რომელია მოთხოვნილი.	უნდა მოეწყოს მრავალჭავლიანი წყლის მრიცხველები AMR სისტემით
13	სატენდერო დოკუმენტები, ტომი 1 - სატენდერო პროცედურები, სექცია IV – 4.2 ბ მოცულობათა უწყისი	სექცია IV – 4.2 ბ მოცულობათა უწყისში ზემოთ აღწერილი პოზიციები აღწერილია შემდეგნაირად სექციაში IV – 4.2 ა ფასთა აღწერა ფასი მოიცავს არა მხოლოდ შემდეგს: <ul style="list-style-type: none"> • მოწოდება, ტრანსპორტირება, მოწყობა და ტესტირება PN10 სოლისებრი ურდულებისა და ბატერფლაი ურდულების DN 	იხ. სატენდერო დოკუმენტები, ტომი 1 - სატენდერო პროცედურები სექცია IV – 4.2 ბ მოცულობათა უწყისი

		<p>150 და მეტი ბეტონის ჭებში და HDPE მილების ასაწყობი ნაწილებისა, შეერთებებისა, მილტუჩებისა, ჭანჭიკებისა, ბეტონის საყრდენებისა, ადაპტორებისა, დასამაგრებელი და დასამონტაჟებელი ნაწილები, სადემონტაჟო ქუროებისა, მილტუჩა ადაპტორებისა და ყველა საჭირო ნივთისა, რათა მოხდეს სრული მონტაჟი იმ ადგილებში, რომლებიც ნაჩვენებია ნახაზებში ან მითითებულია ინჟინრის მიერ და სადაც საჭიროა დამტკიცებული მუშა ნახაზებით;</p> <ul style="list-style-type: none"> • მასალების შენახვა საწყობში, რომელსაც მართავს კონტრაქტორი და ტრანსპორტირება მონტაჟის ადგილას; • არმირებული ბეტონის კამერის მოწყობა ნახაზზე ნაჩვენები დეტალებისა და განზომილებების მიხედვით. <p>აქ არის შემდეგი ჩანაწერი: <u>PN 10 სოლისებრი ურდულები და ბატერეული ურდულები DN 150 და მეტი მოწყობა ბეტონის ჭაში.</u></p>	
--	--	--	--

		<p>მეორე მხრივ, სატენდერო დოკუმენტაცია, ტომი 2, სექცია 3, დამატებითი ინფორმაციის ფაილი, 4 CBMC პროექტი, წყალი, 12 – დეტალები, ურდულის დეტალი, წყლის ურდულის ფაილი</p> <p>წყლის ურდულის ფაილში ნახაზზე KSH-WSS-GVD-18-D001, ბეტონის ჭის მშენებლობა არ არის საჭირო DN 300-ზე ნაკლები სოლისებრი ურდულისათვის.</p> <p>რადგანაც ეს სიტუაცია ეწინააღმდეგება ჩანაწერს „<u>PN 10 სოლისებრი ურდულები და ბატენტული ურდულები DN 150 -ზე მეტი მოეწყობა ბეტონის ჭაშბ, გთხოვთ, დააზუსტოთ, რომელიც დიამეტრია სავალდებულოდ მოსაწყობი ბეტონის ჭებში.</u>“</p>	
14	<p>სატენდერო დოკუმენტები, ტომი 1 - სატენდერო პროცედურები სექცია IV – 4.2ა, ფასთა გრაფიკი</p>	<p>როდესაც ყურადღებით შევისწავლეთ მოცემულ ცხრილში გაწერილი პოზიციების აღწერა და მათი საცნობარო რიცხვები, დავასკვნით, რომ საცნობარო რიცხვები არასწორადაა გაწერილი იმიტომ, რომ პოზიციის ნომერი და საცნობარო რიცხვი ერთი და იგივეა.</p> <p>ასევე, სექციაში IV – 4.2 ა ფასთა აღწერა, წინადადებაში „<u>იხ. პოზიციის ნომერის აღწერა</u>“ შემდეგი პოზიციებისათვის: 3120, 3410, 3420,</p>	<p>იხ. თანდართული განახლებული ფასთა აღწერა.</p>

		3430, 3440, 3510, 3520, 3530 და 3610. დავასკვნით, რომ ციფრები არასწორია. განგვიმარტეთ ეს საკითხი.	
15	სატენდერო დოკუმენტები, ტომი 1 - სატენდერო პროცედურები სექცია IV – 4.2 ა ფასთა აღწერა	<p>პოზიცია N 2510 და 2520 აღწერს HDPE მილის ფასს, რომელიც უნდა გატარდეს ფოლადის გარცმაში. ეს ფასი შედის ამ პოზიციის სამუშაოებში? თუ HDPE მილის ფასი, რომელიც უნდა გატარდეს ფოლადის გარცმაში, ცალკე იქნება ანაზღაურებული, როგორც 2100 პოზიციაშია დაკონკრეტებული?</p> <p>ასევე, პოზიციები 3410 და 3420. HDPE/CHDPE მილის ფასი, რომელიც უნდა გატარდეს ფოლადის გარცმაში, შედის ამ პოზიციის სამუშაოებში? თუ HDPE/CHDPE მილის ფასი, რომელიც გატარდება ფოლადის გარცმაში, ცალკე იქნება ანაზღაურებული, როგორც 3110 პოზიციაშია დაკონკრეტებული?</p>	ფოლადის გარცმის მილის ფასი შედის 2510, 2520, 3410 და 3420 პოზიციებში დაკონკრეტებული სამუშაოების ღირებულებაში.